1965წ. F567 ✓3156

იდიდე მარად, ჩემო სამშობლოვ!

საბჭოთა სკა


უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების გამოცემა

გამოცემის მე-9 წელი

№ 6 (124)

მაისი,

1965 წელი



საქართველოს მხრეგგაშლილი დედაქალაქის ერთ-ერთი კუთხე გმირთა მოედანთან

თბილისის მარკით

ამ დღეებში თბილისის ჰიდრომეტეოროლოგიური ხელსაწყოების ქარხნის კოლექტივმა ვიეტნამში, ჩინეთში, არაბეთის გაერთიანებულ რესპუბლიკასა და საზღვარგარეთის სხვა ქვეყნებში გაგზავნა სხვადასხვა დასახელების ორმოცდაათზე მეტი ხელსაწყო. მათ შორის მოდერნიზებული ჰიდრომეტეოროლოგიური ტრიალები, გალვანომეტრები, წყლის ტემპერატურის გასაზომი თერმომეტრის სამარჯვები და სხვ.

მალე თბილისური ჰიდრომეტეოროლოგიური ხელსაწყოები — ვაკუუმური ბარომეტრები, მეტეოროლოგიური ანძები და საზღვაო ლარტყები გაიგზავნება ავრეთვე ბირმაში, კუბასა და იემენში.

იცარე, ჭერო!

მაისში თბილისის მშრომელებმა მიიღეს 45 ათასამდე კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი — 18 ათასი კვადრატული მეტრით მეტი, ვიდრე გასული წლის შესაბამის პერიოდში. ეს კი ნიშნავს, რომ თბილისელთა 1.500-ზე მეტი ოჯახი შესახლდა ახალ ბინებში.

ბევრი რამ გაკეთდა აგრეთვე დედაქალაქის კომუნალური მეურნეობის გაუმჯობესებისათვის. წლის დამდეგიდან 8.000 თბილისელის ბინებში გაიყვანეს გაზი, რამდენიმე ათეულ მრავალსართულიან სახლში კი — ცენტრალური გათბობა.

მეგობრულ ბულგარეთში

მჭიდრო მეგობრობა აკავშირებს ქართველ მეტალურგებსა და ბულგარელ მშრომელებს. ამ დღეებში რუსთაველმა მეტალურგებმა სხვადასხვა დიამეტრის მილები გაუგზავნეს ქ. სტარაია ზაგორას აზოტოვანი სასუქების, კრემიკოვცის მეტალურგიული ქარხნის, ბულგარეთის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნისა და სხვა საწარმოთა კოლექტივებს.

ბულგარეთიდან მოვიდა ბარათი, რომლითაც მეგობრები მადლობას უხდიან რუსთაველებს დაკვეთების დროულად და ხარისხიანად შესრულებისათვის.

ამას წინათ ჩვენი გაზეთის კორესპონდენტი ეწვია საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის მინისტრს მიხეილ თოფურიძეს. კორესპონდენტის შეკითხვაზე, თუ რა შეუძლია უამბოს გაზეთ „სამშობლოს ხმის“ მკითხველებს საქართველოში სოციალური უზრუნველყოფის საკითხებზე, მან უპასუხა:

მე დიდად მოხარული ვარ გაზეთ „სამშობლოს ხმის“ საშუალებით ვესაუბრო გარექართველებს ქართველი ხალხის ისეთ ღირსშესანიშნავ მონაპოვარზე, როგორიც მშრომელთა სოციალური უზრუნველყოფაა. იგი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი მონაპოვარია. სოციალური უზრუნველყოფა სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ ღონისძიებათა მთელი კომპლექსია, რომლის მიზანია მოქალაქეთა მატერიალური უზრუნველყოფა მოხუცებულობაში, ინვალიდობისა და მარჩენლის დაკარგვის შემთხვევაში. ეს ნიშნავს პენსიებისა და დახმარების გაცემას, პენსიონერთა და ინვალიდთა უზრუნველყოფას სანატორიუმებისა და დასასვენებელი სახლების საგზურებით, მარტოხელა და შრომისუნარმოკლებულ მოქალაქეთა უფასოდ, სახელმწიფოს ხარჯზე, შენახვას ინვალიდთა სახლებში, ომისა და შრომის ინვალიდების კვალიფიკაციის ამაღლებასა და შესაფერ სამუშაოზე მოწყობას, მრავალშვილიანი და მარტოხელა დედებისათვის მატერიალური დახმარების გაწევას.

სახელმწიფო პენსიების შესახებ კანონის გამოცემის შემდეგ დიდად გაუმჯობესდა მოხუცებულთა, ომისა და შრომის ინვალიდთა მატერიალური უზრუნველყოფა. ქვეყნის ეროვნული შემოსავლის ზრდასთან ერთად წლითიწლობით უმჯობესდება მშრომელთა საპენსიო უზრუნველყოფა, სულ უფრო მეტი სახსრები იხარჯება მშრომელთა სოციალურ უზრუნველყოფაზე საზოგადოებრივი ფონდებიდან.

პენსიონერები და ინვალიდები სარგებლობენ უფასო სანატორიულ-საკურორტო მკურნალობით, სახელმწიფოს ხარჯზე იღებენ საპროთეზო-ორთოპედიულ ნაწარმს, ავტომანქანებს, მოტო და ველოეტლებს, სასმენ აპარატებს და სხვ.

ასე, მაგალითად, 1964 წელს სანატორიუმებისა და დასასვენებელი სახლების უფასო საგზური ათასობით მშრომელმა მიიღო, რისთვისაც სახელმწიფომ გაიღო ასეულ ათასობით მანეთი. საგზურები მიიღეს სამამულო ომის ინვალიდებმაც. გარდა ამისა, ზოგ შემთხვევაში მათ ეძლევათ საგზურების ნაცვლად ფულადი დახმარება. გასულ წელს სამამულო ომის ინვალიდებს უფასოდ მიეცათ 2.500-ზე მეტი ცალი სხვადასხვა სახის საპროთეზო-ორთოპედიული ნაწარმი, 627 წუვილი ორთოპედიული ფეხსაცმელი, 156 მოტოეტლი, შრომის ინვალიდებს — 27 ცალი ველოეტლი და ა. შ.

ჩვენს რესპუბლიკაში სამამულო ომის ბევრი veტერანია. საბჭოთა სახელმწიფო განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენს ამ ადამიანების მიმართ.

ზრუნვა

ინტერვიუ საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის მინისტრთან მიხეილ თოფურიძესთან

◆

ჩვენს ქვეყანაში ყოველწლიურად იზრდება ადამიანების კეთილდღეობა. ამის შედეგად საგრძნობლად გაიზარდა ადამიანთა სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა. თუ 1926-27 წლებში საბჭოთა კავშირში ადამიანის სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა არ აღემატებოდა 44 წელიწადს, 1961 წელს მან 70 წელიწადს მიაღწია. საბჭოთა კავშირში ყოველ 100.000 მცხოვრებზე მოდის 100 წლისა და მეტი ხნის 10 კაცი. ეს 5-7-ჯერ მეტია, ვიდრე ჩრდილოეთ ამერიკაში, 15-ჯერ მეტი, ვიდრე ინგლისსა და საფრანგეთში, 100-ჯერ მეტი, ვიდრე იაპონიაში. ჩვენი საყვარელი სამშობლო საქართველო კი, როგორც ცნობილია, სამართლიანად ითვლება მსოფლიოში დღეგრძელ ადამიანთა ქვეყნად. შრომის პირობების გაუმჯობესების შედეგად რესპუბლიკაში საგრძნობლად შემცირდა ინვალიდთა რიცხვი. თუ ჩვენს რესპუბლიკაში 1961 წელს 1.000 მუშასა და მოსამსახურეზე მოდიოდა 20 ინვალიდი, 1964 წელს მათი რაოდენობა შემცირდა ათამდე, ე. ი. ორჯერ, ეს ფაქტი დამაკმაყოფილებლად მეტყველებს იმ შეუნელებელ ზრუნვაზე, რასაც საბჭოთა მთავრობა იჩენს ადამიანთა კეთილდღეობის ამაღლებისათვის.

საქართველოში ამჟამად ითვლება 86 ათასზე მეტი მრავალშვილიანი დედა, რომელთა სხვადასხვა სახის დახმარებაზე მარტო წელს 7 მილიონ მანეთზე მეტი დაიხარჯება. ბოლნისის რაიონის სოფელ განთიადის მცხოვრები მარიამ ალექსის ასული ხელაშვილი თერთმეტი შვილის დედაა. მრავალშვილიან დედას სახელმწიფო სისტემატურად უწევს დახმარებას. დღემდე მას ფულადი დახმარების სახით მიღებული აქვს 7.800 მანეთზე მეტი.

სკოლამდელ საბავშვო დაწესებულებებში ბავშვების კვებისა და მოვლის ხარჯების უმეტესი წილს სახელმწიფო იძლევა.

რესპუბლიკა მოფენილია საუკეთესო სანატორიუმ-კურორტებით. სურამში, ცემში, ქვიშხეთში, ბორჯომსა და სხვა კურორტებზე ყოველწლიურად ეწყობა საზაფხულო გამაჯანსაღებელი პიონერული ბანაკები, სადაც მოზარდი თაობა ჯანმრთელობას იკაჟებს. 1964 წელს პიონერულ-გამაჯანსაღებელ ბანაკებში დაისვენა 50 ათასამდე ბავშვმა.

საბავშვო დაწესებულებათა ფართო ქსელის შენახვა და სახელმწიფოს შეუნელებელი ზრუნვა ბავშვებზე საშუალებას აძლევს მშრომელ ქალს აქტიური მონაწილეობა მიიღოს საზოგადოებრივად სასარგებლო შრომაში.

კითხვა: ამხანაგო მინისტრო! საინტერესოა ჩვენს მკითხველებს გააცნოთ ის წესები და პირობები, რომელთა საფუძველზე უზრუნველყოფენ

ქალაქი, სადაც შენ ცხოვრობდი, მოგონებად!



ქალაქი ჟუთაისი, რესპუბლიკის მნიშვნელოვანი ინდუსტრიული ცენტრი, საერთო ხედი

ადამიანზე

არიან პენსიებით სამშობლოში შინმობრუნებული ჩვენი თანამემამულეები.

პასუხი: ძვირფასო თანამემამულენო!

ორიოდე სიტყვით მოგახსენებთ, თუ როგორი კანონები და წესები არსებობს სამშობლოში დაბრუნებულ ხანდაზმულ თანამემამულეთათვის.

სახელმწიფო პენსიების დანიშვნისა და გაცემის შესახებ არსებობს საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს 1956 წლის 4 აგვისტოს დადგენილება, რომლის მიხედვით სხვა ქვეყნებიდან ჩამოსულ საბჭოთა მოქალაქეებს, თანამემამულეებს, რომლებსაც საბჭოთა კავშირში არ უმუშავნიათ, ინვალიდობის პენსიები ენიშნებათ იმ შემთხვევაში, თუ ინვალიდობა გამოწვეულია შრომითი დასახიჩრებითა და პროფესიული დაავადებით ან მეორე მსოფლიო ომის პერიოდში სსრ კავშირთან ომის მდგომარეობაში მყოფ სახელმწიფოთა არმიებთან ბრძოლაში მიღებული ჭრილობით, კონტუზიით ან დასახიჩრებით მუშაობის სტაჟის მიუხედავად. პენსია ენიშნებათ იმ პირებსაც, რომელთა ინვალიდობა გამოწვეულია საერთო დაავადებით და მუშაობის შეწყვეტის დღისათვის ასაკის მიხედვით აქვთ მუშაობის საჭირო სტაჟი.

საზღვარგარეთ დაჭირავებით მუშაობის სტაჟი უნდა დადგინდეს არსებული წესის მიხედვით საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ დადასტურებული დოკუმენტებით.

თუ არ არსებობს დოკუმენტები საზღვარგარეთ მუშაობის ფაქტიური სტაჟის შესახებ და შეუძლებელია მათი მიღება დაწესებულების ან საწარმოს სრული ლიკვიდაციის ან საარქივო მონაცემების უქონლობის გამო, საზღვარგარეთ მუშაობის დანაკლისი სტაჟი პენსიების დამნიშვნელმა კომისიამ უნდა დაადგინოს ორი ან მეტი მოწმის ჩვენების საფუძველზე. თუ მოწმეები საზღვარგარეთ იმყოფებიან, მათ წერილობით ჩვენებებს მუშაობის სტაჟის შესახებ კომისიები მიიღებენ განსახილველად იმ შემთხვევაში, თუ ეს ჩვენებანი დადასტურებულია საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს ორგანოების მიერ (საელჩოები, საკონსულოები და სხვა წარმომადგენლობები).

პენსიების გამოანგარიშება სხვა ქვეყნებიდან ჩამოსულ თანამემამულეთათვის, რომლებიც საბჭოთა კავშირში არ მუშაობდნენ, მოხდება საბჭოთა კავშირის შესაბამისი პროფესიისა და კვალიფიკაციის მუშათა და მოსამსახურეთა საშუალო გამომუშავების საფუძველზე პენსიის დანიშვნის წესის მიხედვით.

ამრიგად, საბჭოთა სახელმწიფოს ზრუნვისა და ყურადღების გარეშე არ რჩება სამშობლოს არც ერთი შვილი, და იგი თავისი შრომით და მოღვაწეობით სასარგებლო შრომას ეწევა და ეწეოდა.


ახალი ქარხანა

ქალაქ ცხინვალის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში დაიწყო ავტობუსების სარემონტო ქარხნის მშენებლობა. სამშენებლო მოედანი გაჭიმულია ოთხ ჰექტარ ფართობზე. ფეხს დაადგება ადმინისტრაციული შენობის, ძრავების, ძარების სარემონტო მთავარი კორპუსების მშენებლობა. ქარხანა მომავალი წლიდან დაიწყებს მუშაობას.

ქართული ხელოვნება ტრიპოლის გაზრდილ

ქართულ გამოყენებით ხელოვნებას, რომელიც წარმოდგენილი იყო ტრიპოლის (ლიბია) IV საერთაშორისო ბაზრობაზე, განსაკუთრებული წარმატება ხვდა. საბჭოთა კავშირის გამოყენებითი ხელოვნება აქ წარმოდგენილი იყო ქართული ექსპონატებით. ექსპოზიციას გაეცნო ათასობით ლიბიელი, ბაზრობაზე ჩამოსული სხვა ქვეყნის მრავალი წარმომადგენელი. საქართველოს გამოყენებითი ხელოვნების ყველა ნაკეთობაზე დიდი მოთხოვნა იყო.

ექსპოზიციის დამთვალიერებლებს შეეძლოთ გასცნობოდნენ რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს შ. ამირანაშვილის „ქართული ხელოვნების ისტორიის“ ფუნდამენტალურ, ლამაზად გაფორმებულ ნაშრომს. წიგნი საჩუქრად გადაეცა ტრიპოლის საქალაქო მუზეუმს.



ამ სიცოცხლით აღსავსე, მხიარულ გოგონას ყველანი იცნობენ ცხინვალის ქარხანა „ემალსადენში“. მისი სასიამოვნო ხმა, ნარნარი ცეკვა ხიბლავს ქარხნის მხატვრული თვითმოქმედების კონცერტებზე მოსულთ.

ქარხანაში კი ვეღარ იცნობთ ფატიმა გასიმოვას. აქ იგი სერიოზული, ფიქრიანი ხდება ხოლმე, მთლიანად ეფლობა თავის სამუშაოში. ფატიმა ერთ-ერთ მოწინავე მუშად ითვლება. იგი სისტემატურად დიდი გადაჭარბებით ასრულებს დავალებებს, უშვებს მხოლოდ მაღალხარისხოვან პროდუქციას.

მაგრამ აი, თავდება სამუშაო დღე. ფატიმა მიიჩქარის სახლში ან ბიბლიოთეკაში, რათა ჩაუჯდეს წიგნებს, კონსპექტებს. იგი უმაღლეს სასწავლებელში სწავლობს დაუსწრებლად და ახლა საგამოცდო სესიებისათვის ემზადება.

მხატვრული თვითმოქმედების აქტიური მონაწილე, მოწინავე მუშა, დაუსწრებელი განყოფილების სტუდენტი ფატიმა გასიევა შინაარსიანი, საინტერესო ცხოვრებით ცხოვრობს.

სურათზე: ფატიმა გასიევა მუშაობის დროს.

თქვენთვის, მეგობრებო!

თავისი ბუნებით ქართველ კაცს არ უყვარს სამშობლო ქვეყნის გარეთ ყოფნა, მაგრამ ბედის უკუღმართობის შედეგად მრავალი ჩვენი თანამემამულე სამშობლოს გარეთ აღმოჩნდა. დუხჭირი ცხოვრების გზა განვლეს მათ, სევდითა და ვაებით აღსავსე მრავალი დღე გაუტარებიათ. ვინ უწყის, რა მძიმეა სამშობლოსთან განშორების დამაღონებელი გრძნობა, მძიმე და აუტანელია განცდა იმისა, რომ არ შეგიძლია როცა მოგესურვება დადგა ფეხი სამშობლო მიწაზე, არ შეგიძლია დატკბე მშობელი დედის ალერსით, არ შეგიძლია გული იჯეროო საყვარელი სამშობლოს მომხიბლავი მშვენიერებით.

მეტწილად ასეთი იყო სამშობლოს გარეთ აღმოჩენილი ყოველი ქართველის მძიმე ხვედრი... და თუ ამ მძიმე და გაყინულ ატმოსფეროში შემოანათა ნდობის, მეგობრობისა და დედა-შვილობის მახარობელმა შუქმა, გაიხსნა გზაც და გულიც სამშობლოსაკენ, ეს იყო 1964 წლის აპრილში, როცა საქართველოს მწერალთა სასახლეში სამშობლოს მკვიდრთა საუკეთესო წარმომადგენლებმა დამფუძნებელ კრებაზე მსოფლიოს აუწყეს საზღვარგარეთის ქვეყნებში მცხოვრებ თავიანთ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების შექმნა.

არ დარჩენილა ქალი და კაცი, დიდი თუ პატარა, რომ ამ ღირსშესანიშნავ მოვლენას აღფრთოვანებით არ შეხვედროდა. სამშობლოს მოშორებული ათობით და ასობით თანამემამულისათვის დადგა მოლოდინისა და იმედის სანეტარო წუთები. ვინ უწყის, რარიგ მნიშვნელოვანია ეს საქმე ყოველი გარექართველისათვის. სამშობლო ხელგაშლილი გულში იკრავს, გზას და კერას ულოცავს თავის შვილებს, — მოდით, გვეწვიეთ, ნახეთ, დაფუძნდით სამშობლოს მიწაზე, საითაც გინდა იარეთ, იყავით და იხარეთ, მხოლოდ გწამდეთ საყვარელი სამშობლოს შვილთა ნაამაგარი, მისი ძალა და ჯავარი.

ერთი წელიც არ გასულა, და მრავალი სასიხარულო შეხვედრის მოწმენი და მონაწილენი გავხდით. იმაზე, თუ როგორ შეხვდა ხალხი და ნათესაობა თავის შვილებს, ძნელია აუღელვებლად ლაპარაკი.

განა შეიძლება დაავიწყდეთ ბათუმელებს პარიზში მცხოვრები ელენე ცაგარლის ჩამოსვლა და ათეული წლების განმავლობაში უნახავ შვილებთან მისი შეხვედრა, ანდა ჩვენი იტალიელი თანამემამულის სონია დუმბაძის სტუმრობა მშობლიურ გურიაში, ან ასლან ყრუაშვილის ჩამოსვლა ამერიკიდან და მისი შეხვედრა თავისი ოჯახის ნაშიერ სამოცამდე შვილსა და შვილიშვილთან, ან ბელგიიდან ჩამოსული არჩილ ჯოხაძის შეხვედრა 80 წლის მოხუც დედასთან, ნათესავ-მეგობრებთან, ან ბესტავაშვილების მთელი ოჯახის სტუმრობა ინგლისიდან, ან პატარა ალექსი რუხაძის მიერ გატარებული დღეები მისთვის ახლად „აღმოჩენილი“ სამშობლოს ახალგაზრდობაში. კიდევ რომელი ერთი ჩამოვთვალოთ.

განა ამ კულტურული ურთიერთობის უდიდესი წარმატების საუკეთესო დადასტურება არ არის ქართველი პოეტების ირაკლი და გრიგოლ აბაშიძეების, იოსებ ნონეშვილის, კრიტიკოსის ბესარიონ ჟღენტის, პროზაიკოსის სერგი ჭილაიას და სხვათა შეხვედრები ჩვენს პარიზელ თანამემამულეებთან, პროფესორ გიორგი მღებრიშვილის სტუმრობა მეუღლითურთ ძმასთან საფრანგეთში, თინათინ სარჯველაძის სტუმრობა მამასა და ნათესავებთან პარიზში და ჩვენი სასახელო თანამემამულის „ვეფხისტყაოსნის“ მთარგმნელის სერგი წულაძის ურთიერთობა და მოგზაურობა საფრანგეთში, ან ამერიკელი პროფესორის ჯორჯი გოგოხიას მოგზაურობა საქართველოში მამის ანდერძით.

განა თვე მაინც გაივლის ისე, რომ ჩვენ სახელოვან კომპოზიტორ ირაკლი ჯაბადარის მუსიკა არ ატკბობდეს საყვარელი სამ-

(დასასრული მე-6 გვერდზე).

სახალხო გვირგვინის ვახტანგ

დიდება გმირებს!

სოფლის ორასცხრა ჭრილობა

იქ, სადაც ენგურს მაგანა უერთდება, ჩემი სოფელია — ჯვარი. ის ახლა დაბაა. ენგურჰესის მშენებლებს ქალაქად გადაუქცევიათ მთის პატარა სოფელი. ყვირასა და ოხაჩქუს მთები ყარაჩოღელებივით მხრებგაშლილნი დარაჯობენ ჭიუხებს. 1941-ში მთებს გადაღმიდან გრგვინვა რომ მოისმა, შეტოკდა ჯვარიც. შვილებმა დატოვეს იგი.

...იდგა მძიმე წლები, სავსე გმირობითა და სევდა-წუხილით.

მაგრამ მზე ვერ ჩააქრეს ფაშისტებმა. მიწყდა ომის ძახილი. სოფელში გამოჩნდნენ ომგადახდილნი. ზოგი უფეხო, ზოგიც უხელო. მოხუც მშობლებს მაინც უხაროდათ — თავი რომ ჩამოიტანეს შვილებმა. არსენა შეროზიამ მარცხენა მკლავი დამარხა ბრძოლის ველზე. მელენტი ფიფია უფეხო დაბრუნდა სახლში. გვიკვირდა პატარებს, როგორღა ივლიდა ნახევარკაცი, ან როგორ მოეფერებოდნენ შვილებს უხელოდ დაბრუნებულნი... ბოლოს გავიგეთ: არა მარტო შვილების მოფერებაზე, არამედ სიცოცხლეზე უძვირფასესი რამისთვის დაჯარგეს ისინი.

ახლა საქვეყნოდ ცნობილმა მელიტონ ქანთარიამ ჯვარში აიდგა ფეხი. აქ ისწავლა სიმამაცე და გამბედაობა, მერე ბერლინის თავზე საბჭოთა დროშა ააფრიალა ეგოროვთან ერთად. მიშა გეთია გმირის ორდენით დაუბრუნდა მშობლიურ კუთხეს. ჯვარმა ორი საბჭოთა კავშირის გმირი და ოთხასამდე ვარსკვლავით მკერდდამშვენებული მეომარი გაუზარდა ქვეყანას. ზოგი მათგანი ვერც დაბრუნდა ქარცეცხლიანი დღეებიდან, იქ მიებარა მიწას... ასეთება ორასზე მეტია ჩემს სოფელში.

ომი იყო და ჩვენი მამები იბრძოდნენ, ბავშვები კი მათ სახელებს ვეკითხებოდით ერთმანეთს, „რა ჰქვია მამაშენს?“ სახელები გადმოცემით თუ ვიცოდით მხოლოდ.

აპოლონ მანია და ნონა ყურუა მამას სულ ფიცულობენ ახლაც. ახსოვთ მამის დანაბარები — „კერა არ გამიციოთ, კერა!“ ნონამ ტკბილი ოჯახი შექმნა და შვილის დედაა უკვე. აპოლონმა პედაგოგიური ინსტიტუტი დაამთავრა და ჯვარის მე-2 საშუალო სკოლაშია მასწავლებლად. მამის ანდერძს ასრულებს ვაჟი.

ჩვენს სოფელში ორი ჯემალია, ორივე აკობია. ერთის მამას ჯობია ჰქვია; მეორისას აკაკი. არც ერთი არ დაბრუნებულა ფრონტიდან. არც ერთის არ ახსოვს მამა. ისინი დაიბადნენ მაშინ, როცა მშობლები საომრად მიდიოდნენ.

პატარა თეთრომიანი გოგონა არც იყო დაბადებული, როცა მამამისი მტრებს ებრძოდა კავკასიონის მისადგომებთან. დაიბადა და მერი შეარქვეს. მერის ბებიამ — ქული ფიფიამ სამი შვილი გააცილა ომში. სამი ქვევრი აავსო ოჯალეშით იმ წელს, მათი ჩამოსვლისათვის მინდაო, თქვა. ჯერაც არ შესმულა ის ღვინო. უსაზღვროა დედის მოლოდინი.

მაშინაც სოფლის განაპირას, მაგანას ხეობაში ცხოვრობდა პეტრე ჭანტურია. შვილი ომში გაუშვა, „იომე და ჩამოდიო!“ — დაბარა იმედიანად. მას შემდეგ პეტრეს მეზობლებმა „ცენტრისკენ“ გადმოინაცვლეს, მაგრამ მან ერთი მეტრითაც არ გადასწია სახლი — „შვილი საიდანაც გავაცილე, იქვე უნდა დავხვდეო!“ ის არ ჩანს. პეტრე კი იმავე ეზოშია ახლაც, მხოლოდ შვილს ვერ დაელოდა ბოლომდე; დედა კი აგრძელებს ლოდინს.

ნანის და დოდოს გრიგოლ ბიძიას სახელი საფიცრად აქვთ. მათ არც უნახავთ მამის ძმა. წარმოდგენაც არა აქვთ ომზე. არც ომის დროს ჩვენს სოფელში დაბანაკებული ჯარები უნახავთ, მაგრამ ომმა, მათი ბიძა გრიგოლ აკობია შეიწირა, და მიხვდნენ, ომს ადამიანისათვის სიკვდილი მოაქვს მხოლოდ.

ჩემს სახლსაც ამჩნევია ომის ნაკვალევი. მახსოვს, ბაბუაჩემმა „ზარბაზნის პატრონა“ არისო, თქვა და სახლის საყრდენ ბოძს ჩამოჰკიდა მბზინავი რკინის ქვაბი. ის ახლაც ისევაა. ომს და ბაბუას მაგონებს. ბაბუას საწოლთან ახლაც ჰკიდია გადიდებული სურათი... მე იქიდან ვიცნობ მამაჩემს. ბებიას თვალის ოპერაცია რომ გაუკეთეს, პროფესორმა უთხრა, ზედმეტი ცრემლის დენას დაუბრმავებიხართო, — 10 წელი სიბრმავეში, სარეცელს მიჯაჭვული მოელოდა შვილს. წუხდა, როცა ჩამოვა, მის სახეს ვერ ვიხილავო.

ვიწრო ხეობაში ოდა სახლი დგას განმარტოებით. ომამდე ის გვაჯი შეროზიას ეკუთვნოდა. ახლა იქ არავინ ცხოვრობს. მისი პატრონი ომმა შთანთქა. სახლში არავინ დარჩენია. ეზო ელოდება გვაჯის. სოფლელები უნახავენ და უვლიან.

სადაბო საბჭოში რომ შეხვიდეთ, აღმასკომის თავმჯდომარის კაბინეტში ჭაღარაშერეული, ოდნავ პირხმელი კაცი დაგხვდებათ — ვალოდია ქანთარია. ის ომამდეც ამ თანამდებობაზე მუშაობდა, შემდეგ შაშხანა აიღო ხელში და სამშობლოს დასაცავად წავიდა. ნაჭრილობევი რომ აქვს ვალოდიას, მასზე არასოდეს არაფერს არ იტყვის... არ უყვარს თავის ქება. ომიდან დაბრუნდა და ისევ თავისი საყვარელი სოფლის თავკაცად აირჩიეს. ჭირგამოვლილმა ვაჟკაცმა იცის ხალხის გულისთქმა. ყველაზე წინ ის ამჩნევს, ვის რა უჭირს, და ეხმარება. ვალოდიას ერთი სუსტი მხარე აქვს: ცრემლებს ვერ დამალავს, ომში დაღუპულებზე რომ ჩამოუგდო ლაპარაკი. ზოგს უკვირს ეს, სხვებმა კი იციან, რომ დაღუპულებს შორის მისი ძმები, თანაშკოლელი მეგობრები ეგულება და ცრემლები თავისთავად მოდის.

ჯვარის მე-2 საშუალო სკოლის დირექტორია პისტი ფიფია. ცხოვრებას ბავშვობიდანვე არ გაუნებივრებია. ქვეყანაზე თითქოს იმიტომ გაჩნდა, რომ მთელი ქვეყნის შავები ამ ქალს გაეცვითა. ოჯახში ბევრნი იყვნენ — მარტო დარჩა. ნუგეშად ძმა ჰყავდა — ომმა წაართვა. ახლა კი მხოლოდ მისი ლოდინი დარჩენია იმედად. ლოდინში დრო გადის, ის კი ხალხს ემსახურება. ათასობით ახალგაზრდა გამოუზარდა სამშობლოს. სოფელში უყვართ. ყველა მისი მადლობელია. მისი თაოსნობით ჯვარის ცენტრში პატარა გორაკზე შინმოუსვლელთა ტყუ-პარკი გაშენდა. მალე ობელისკი დაიდგმება. ყველა თანაუგრძნობს, ყველა ეხმარება პისტის. იმ ობელისკზე მისი ძძის სახელიც იქნება ამოკვეთილი; ალბათ იმ დღეს მოსწყდება მის თვალებს პირველი ცრემლი, აქამდე გულში რომ იგუბებდა მარტო.

შინმოუსვლელთა გორაკზე ომის დროს სანგრები იყო გათხრილი, მათი კვალი ახლაც არის. ბავშვები ომობანას თამაშობენ ხოლმე მის კალთებზე.

მახსოვს — ჩვენმა მასწავლებელმა ლ. ჭანტურიამ გვთხოვა ერთხელ, არ გვეთამაშა ომობანა.

...ჯვარელი ბავშვები გაკვეთილების შემდეგ დაღუპულთა გორაკზე ნაძვისა და ფიჭვის ხერგებს რწყავენ და უვლიან ყოველდღე. იქ ორასცხრა ნერგია — იმდენი, რამდენიც შინმოუსვლელია ჯვარში.

ენგური ისევე ბორგავს ახლაც, როგორც ოცი წლის წინათ, ისევე ანგრევს კლდესა და ღრეს, როგორც მაშინ. ისევ დგახან ყარაჩოღელებივით გოლიათი მთები. გარემო კი მაინც შეიცვალა. შეიცვალა მთლიანად. სხვანაირად აშენდა ცხოვრება, რომელსაც მილიონობით ადამიანთან ერთად 200-ზე მეტმა ჯვარელმაც შესწირა სიცოცხლე. ჯვარელს რომ კითხოთ, იყო თუ არა აქ ომი, თანხმობის ნიშნად თავს დაგიკრავთ და მოგიყვებათ რამდენი ჯვარელი ვაჟკაცის სიცოცხლე შეიწირა ომმა, რამდენი ადამიანი დაასახიჩრა სამუდამოდ. როცა ის ამ ამბებს გიყვებათ, კარგად დააკვირდით, თვალებზე უსათუოდ ცრემლი მოადგება.

ზაურ ფიფია.
დაბა ჯვარი.



ქალაქი კრასნოდარი — მრავალი ცხარე ბრძოლის მოწმე დიდ სამამულო ომში. ეს ძეგლი აღმართულია დალუპულ ქართველ მებრძოლთა უკვდავსაყოფად.



მოსკოვი, 1965 წლის 9 მაისი — — გამარჯვების პარადი წითელ მოედანზე. საბჭოთა კავშირის გმირებს მ. ეგოროვს, კ. სამსონოვს და მ. ქანთარიას (მარცხნივ) მოაქვთ გამარჯვების დროშა, რომელიც ოცი წლის წინათ რაიხსტაგზე აფრიალდა.

სამშობლოს

სამამულო ომის წლებში ქართველმა ხალხმა ღირსეულად მოიხადა თავისი ვალი სამშობლოს წინაშე.

სწორედ ამ თემას ეძღვნება სახელმწიფო გამომცემლობის „საბჭოთა საქართველოს“ მიერ სულ ახლახან გამოშვებული წიგნი „სამშობლოს ერთგული შვილები“. ავტორი—გენერალ-მაიორი **გიორგი ყურაშვილი** ამ წიგნში მკითხველთა ყურადღებას მიაპყრობს მხოლოდ საქართველოს შვილ მხედართუფროსებზე — გენერლებსა და ადმირალებზე, რომელთა სახელიც ისტორიას შემორჩა იმ საბრძოლო დამსახურებისათვის, რაც მათ დიდ სამამულო ომში ფაშისტური გერმანიისა და იმპერიალისტური იაპონიის განადგურების საქმეში მიუძღვით.

სამშობლოს ერთგულმა შვილებმა—საქართველოში დაბადებულმა და დაჟაკაცებულმა გენერლებმა, ადმირალებმა, ოფიცრებმა, საბჭოთა არმიის სახელმოხვეჭილმა მხედართუფროსებმა სხვა მოძმე ხალხების წარმომადგენლებთან მხარდამხარ ბრძოლით თვალსაჩინო წვლილი შეიტანეს ფაშისტურ გერმანიაზე საბჭოთა კავშირის ისტორიული გამარჯვების დიად საქმეში.

აი ჩვენი სახელოვანი თანამემამულენი, რომელთა საბრძოლო თავგადასავალზეა ლაპარაკი:

გენერალ-პოლკოვნიკი კონსტანტინე ნიკოლოზის-ძე ლესელიძე — არმიის სარდალი;*) გენერალ-პოლკოვნიკი პორფილე გიორგის-ძე ჩანჩიბაძე—არმიის სარდალი; გენერალ-ლეიტენანტი ბორის ალექსანდრეს-ძე ვლადიმიროვი—დივიზიის მეთაური; გენერალ-ლეიტენანტი ალექსი ნიკოლოზის-ძე ინაური — დივიზიის მეთაური; გენერალ-ლეიტენანტი ვასილ პავლეს-ძე მყავანაძე — არმიის სამხედრო საბჭოს წევრი; გენერალ-ლეიტენანტი ვლადიმერ ვარდენის-ძე ნანეიშვილი — საჰაერო არმიის სარდლის მოადგილე; გენერალ-ლეიტენანტი სერაფიმ ევგენის-ძე როჟდესტვენსკი—არმიის შტაბის უფროსი; გენერალ-ლეიტენანტი მიხეილ ვარლამის-ძე ღლონტი — კორპუსის შტაბის უფროსი; გენერალ-ლეიტენანტი ვლადიმერ ნიკოლოზის-ძე ჯანჯღავა — დივიზიის მეთაური; სამედიცინო სამსახურის გენერალ-ლეიტენანტი იუსტინე ივლიანეს-ძე ჯანელიძე — სამხედრო-საზღვაო ფლოტის მთავარი ქირურგი; გენერალ-მაიორი გალაქტიონ ელისეს-ძე ალფაიძე — საარტილერიო პოლკის მეთაური: გენერალ-მაიორი პავლე ივლიანეს-ძე აბრამიძე — დივიზიის მეთაური; გენერალ-მაიორი მიხეილ ნიკოლოზის-ძე არუთინოვი —

* აქ ნაჩვენებია ომის დროინდელი თანამდებობები და წოდებები.

შეხვედრის სიხარული

ჰიტლერულ გერმანიაზე გამარჯვებამდე ცოტა ხნის წინათ სსრ კავშირის წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოებათა კავშირის ადმასკომთან შეიქმნა იმ საბჭოთა და უცხოელი მოქალაქეების ძებნის ბიურო, რომლებმაც ნათესავებთან კავშირი დაკარგეს.

20 წლის განმავლობაში, აცნობა ახალი ამბების სააგენტოს კორესპონდენტს ამ ბიუროს უფროსმა ტიხონ შკოლამ, მოძებნილ იქნა 260 ათასზე მეტი კაცი.

• • •

ზედიზედ ვკითხულობ საქმეებს, რომლებზეც ამ ბიუროს თანამშრომლებს ძებნა დაუმთავრებიათ, და ვხედავ, თუ რაოდენი შრომის (ხშირად თავის ზვინში ნემსის ძებნას რომ ჰგავს) გაწევეაა საჭირო, რომ ადამიანთა უკიდეგანო ოკეანეში ესა თუ ის ადამიანი მოინახოს. ამავე დროს ეს შრომა კეთილშობილური, ჰუმანურია, მისი საზომია ადამიანის დიდი სიხარული, მშობლებისა და შვილების, დებისა და ძმების, თანამოიარაღე ამხანაგების, ყველა იმათი უსაზღვრო ბედნიერება, ვინც მრავალი წლის განშორების შემდეგ ერთმანეთი იპოვნა.

ომის ტრაგიკულმა ამბებმა ტანჯვა მოუტანა იმათაც, ვინც ეძებს, და იმათაც, ვის მონახვასაც ცდილობენ. აი ჩვენ წინაშეა მარიამ გავრილიუკის სქელტანიანი საქმე. ბედმა უმუხთლა ამ ქალს. 1942 წელს ჰიტლერელებმა მისი 16 წლის ვაჟი ძალით გაგზავნეს გერმანიაში ბელოსტოკის ოლქიდან (ახლა პოლონეთის ტერიტორიაა), სადაც მაშინ ცხოვრობდა ოჯახი. ომის დამთავრების შემდეგ მარიამი ორი პატარა შვილიანად — გოგონებიანად სარატოვში წავიდა თავის დასთან.

„ყურადღებით დედის მწუხარება, დამეხმარეთ ჩემი ვაჟის საშას მოძებნაში“, — სწერდა ბიუროს მარიამ გავრილიუკი 1956 წელს.

რვა წელიწადს გრძელდებოდა დაძაბული ძებნა ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში და მის ფარგლებს გარეთ. გამოკითხულ იქნა მრავალი ადამიანი. და აი როგორც შედეგი ამ ღონისძიებისა — დედის ამაღელვებელი შეხვედრა შვილთან, რომელიც 22 წელიწადს არ ენახა.

ბორკელმა ახალგაზრდა მშენებელმა გუნაღი სმირნოვმა მშობლები დაკარგა. 1942 წელს იგი ლენინგრადიდან ევაკუირებულ იქნა იაროსლავლის ოლქში, და მას შემდეგ საბავშვო სახლში იზრდებოდა. დაამთავრა სახელოსნო სასწავლებელი და მუშაობა დაიწყო.

იმ იმედით, რომ მონახავდნენ მის მშობლებს, ბიუროს თანამშრომლებმა შეამოწმეს ყველა ამ პირთა სიები, რომლებიც ლენინგრადიდან იაროსლავლის ოლქში იყვნენ ევაკუირებულნი. გადაათვალიერეს ბარეთვე 1940 და 1941 წლების ყველა ჩანაწერი ლენინგრადის ყველა რაიონულ მმაჩინი. გამოჰკითხეს ბევრ სმირნოვს, რომლებსაც იმ წლებში ეყოლათ შვილი გუნადი, 1942 წელს ბიჭი ხომ არ დაგკარგვიათო. დაუცხრომელი შრომა წარმატებით დაგვირგვინდა. ლენინგრადში აღმოჩენილ იქნენ სმირნოვის დედ-მამა და და-ძმა.

შავი ზღვის სამხედრო-საზღვაო ფლოტის ერთ-ერთი ნაწილის სარდლობამ თხოვნით მიმართა ძებნის ბიუროს დახმარებოდა საბავშვო სახლის ყოფილ აღზრდილს მატროს ნიკოლოზ ვიშინსკის მშობლების პოვნაში. ცნობილი იყო, რომ იგი 1951 წელს მოათავსეს ნიკოლაევის ოლქის სოფელ სნეგირეევკის საბავშვო სახლში. თვითონ მას ბუნდოვნად ახსოვდა, რომ ბავშვობაში ჰყავდა ორი უფროსი ძმა და და.

ბიუროს თანამშრომლებმა ხანგრძლივი ძებნის შემდეგ გამოარკვიეს, რომ ნიკოლოზ ვიშინსკის მამა ფრონტზე დაღუპულა, ხოლო დედა გარდაცვლილა. იპოვნეს მისი უფროსი ძმები — ალექსანდრე ხაბაროვსკის მხარეში, ანატოლი — ჩერკასის ოლქში, აგრეთვე დედით ორი უმცროსი ძმა თეოდორე და ლეონიდე ნიკოლაევის ოლქში. მიაგნეს მის დას ლიდიასაც ტიუმენის ოლქში. ნაწილის სარდლობამ მატროსს რიგგარეშე შვებულება მისცა, და ნიკოლოზ ვიშინსკიმ ინახულა თავისი მახლობლები.

ბიუროს კონტაქტი აქვს წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტთან და 72 ქვეყნის წითელი ჯვრის ეროვნულ საზოგადოებებთან. მათი დახმარებით წარმოეს ძებნა საბჭოთა კავშირის ფარგლებს გარეთ.

ტაგანროგში მცხოვრებ 20 წლის ზინა ვიოტინას თხოვნით ქალაქ პეჩაში (იტალია) მონახეს მამამისი გაიდალო სარ-

(დასასრული მე-6 გვერდზე)

წერილი რედაქციას

ჩემი გულის აღსარება

ამა წლის 2 მარტს ქალაქ ლიონში ჩამოვიდა ქართველ მოცეკვავეთა ანსამბლი ილიკო სუხიშვილის ხელმძღვანელობით. წარმოდგენას მთელი ჩემი ოჯახის შემადგენლობით დავესწარი. ბევრნი იყვნენ აქ მცხოვრები სხვა ქართველებიც. ყველას ძალიან მოეწონა ქართული ცეკვები. განსაკუთრებით კი ჩვენ — ქართველებს. ისეთ აღფრთოვანებაში მოვედით, რომ ზოგიერთს მთვრალი ვეგონებოდით ან სულელები. ამდენი ქართველობა რომ დავინახეთ ერთად სცენაზე თავმოყრილი, ვიგრძენით ჩვენი ძვირფასი სამშობლო, მისი უკვდავი სული.

ხშირად, ძალიან ხშირად, განსაკუთრებით ამ უკანასკნელ ხანებში, გამუდმებით ვფიქრობ საქართველოზე. ოცნებით ვხედავ მის აუვავებულ მთა-ველებს. ვესაუბრები, ვეალერსები, ვეხვეწები: მიშველე, მანუგეშე, გამათბე, შენს წიაღში მიმიღე-მეთქი. გგონიათ ვაჭარბებ? რა ვქნა, რა ვუყო, თუ ისე მიტაცებს ფიქრები საქართველოზე, რომ ჩემი თავის პატრონი მე თვითონ აღარა ვარ! თქვენთვის შეიძლება იმდენად ადვილი წარმოსადგენი არ იყოს, თუ რა ძნელია რამდენიმე თაობით სამშობლოს მოშორება და მერე სურვილი მისი ნახვისა, მით უმეტეს, თუ იქ გეგულება მშობლიური ოჯახი, სისხლითა და ღვიძლით ნათესავები, ნაცნობ-მეგობრები, მამა-პაპათა მიწა-წყალი, მათი სული, მათი ძვალი... ის ადგილი,

სადაც პირველად ჩამედგა სული
და ამოძრავდა პატარა გული,
სადაც ვიგრძენი მე სიხარული,
დედის ალერსი და სიყვარული,

სადაც მშობლები ატირებული
დავტოვე მარად დამწუხრებული
და მივანიჭე გამუდმებული
დღე-ღამე შავად დაბნელებული.

ამნაირი განცდების დროს, მართლაც ძნელია კაცმა ზომას არ გადაუხვიოს. ზოგჯერ, ფიქრებში წასული ჩემდა უნებურად წერილებს — ლექსებს ვწერ საქართველოს, მაგრამ მრცხვენია, სისულელე არ იყოს მეთქი და ისევ ვხევ, ვწვავ... თუმცა წინათაც და შემდეგ საფრანგეთში ყოფნის თითქმის ორმოცი წლის განმავლობაში არასოდეს არ დამიწერია ლექსი, აზრადაც არ მომსვლია მეცადა კალამი. ახლა კი ისეთ ხასიათზე ვარ, რომ ვხედავ და გიგზავნით ჩემს ლექსს „საქართველოს“. იქნებ ბევრ სისულელესაც ვწერდე, მით უმეტეს, ქართული გრამატიკა და სიტყვებიც კი ბევრი დამავიწყდა. თუ ოდნავ მაინც მოგეწონოთ, დაბეჭდეთ. ვინ იცის, იქნებ ეს ლექსი ჩემთვის პირველი და უკანასკნელი კი იყოს ერთდროულად! მაგრამ ის ჩემი გულის ღაღადისია, მისი აღსარებაა, სიყვარულია სამშობლოსადმი...

გიორგი ყალაბეგიშვილი.
საფრანგეთი, ქ. ლიონი.

საქართველოს

შორს წამოსული, დაღონებული,
მრავალი წლებით მოშორებული,
უშენობით ვარ დაობლებული,
მწარე ფიქრებით გატაცებული.
შენსკენ მოვილტვი მოხუცებული
მე შენს ნახვაა მოწყურებული,
იმედსა ვკარგავ ატირებული,
აღარ გინდივარ დაბერებული?
ნუ გამიწყრები აღელვებული,
უკუ ნუ მაგდებ, მონატრებული,
შენი შვილი ვარ მაინც, ქებული,
შენს გულმკერდზედა დაბადებული,
თუმცა უცხოეთს მარტოდ გდებული,
ოჯახი შევქმენ სახელდახელო,
გინდაც გამიწყრე გაჯავრებული,
შენთვის ვიქნები თავდადებული.
სულშია სევდა დაბუდებული,
გონება ჩემი — გაბრუებული,
გრძნობანი ჩემი — გაყუჩებული,
ბოლმა გამიწნდა გამუდმებული.
იმედი მომეც, გაღიმებული
შენთან წამოვალ, გახარებული,
რომ ვინახულო გაბრწყინებული
შენი მიდამო აყვავებული.

24 აპრილი, 1965 წელი.
საფრანგეთი, ქ. ლიონი.

ერთგული შვილები

პოლკის მეთაური; გენერალ-მაიორი ივანე პავლეს-ძე ბაბალაშვილი — დივიზიის მეთაური, ავიაციის გენერალ-მაიორი ლავრენტი ალექსის-ძე გოლიაძე — ავიაშენაერთის მეთაური; საინჟინრო-ტექნიკური სამსახურის გენერალ-მაიორი არჩილ ბიქტორის-ძე გელოვანი — სამხედრო-საველე მშენებლობათა უფროსი; საინჟინრო-ტექნიკური სამსახურის გენერალ-მაიორი ნარიმან ვარლამის-ძე დალაქიშვილი — ავიაკორპუსის კავშირგაბმულობის უფროსი; გენერალ-მაიორი გლადიმერ ექვთიმეს-ძე ზარელუა — არმიის განსაკუთრებული განყოფილების უფროსი; გენერალ-მაიორი ნიკოლოზ ტარიელის-ძე თავარქილაძე — დივიზიის მეთაური; გენერალ-მაიორი ერმოლოზ გრიგოლის-ძე კობერიძე — დივიზიის მეთაური; გენერალ-მაიორი ნიკოლოზ ივანეს-ძე ლალაძე — დივიზიის მეთაური; არტილერიის გენერალ-მაიორი მიხეილ გენონტის-ძე კიკნაძე — საარტილერიო დივიზიის მეთაური; გენერალ-მაიორი ვიქტორ ბოგდანის-ძე ლისინოვი — დივიზიის მეთაური; გენერალ-მაიორი მიხეილ გერასიმეს-ძე მიქელაძე — დივიზიის მეთაური; გენერალ-მაიორი სერგი არკადის-ძე მიანსაროვი — კორპუსის შტაბის უფროსი; გენერალ-მაიორი დიმიტრი ბაგრატის-ძე ნამგალაძე; საინჟინრო-ტექნიკური სამსახურის გენერალ-მაიორი შალვა ნიკოლოზის-ძე ჟიჟილაშვილი — მშენებელი ბატალიონის მეთაური; გენერალ-მაიორი ილია ომანის-ძე რაზმაძე — შენაერთის მეთაურის მოადგილე; გენერალ-მაიორი მიხეილ ენუქის-ძე როსტომაშვილი; გენერალ-მაიორი ისიდორე ანდრიას-ძე სილაგაძე — დივიზიის მეთაური; საინჟინრო-ტექნიკური სამსახურის გენერალ-მაიორი ბიქტორ სამსონის-ძე სულაქველიძე — სამხედრო აკადემიის კათედრის უფროსი; ავიაციის გენერალ-მაიორი ესტატე ზაქარიას-ძე ტატანაშვილი —ავიაშენაერთის მეთაური; ავიაციის გენერალ-მაიორი შალვა ნესტორის-ძე ქირია — ავიანაწილის მეთაური; გენერალ-მაიორი გიორგი ივანეს-ძე ყუფარაძე—დივიზიის მეთაური; გენერალ-მაიორი გიორგი გაბრიელის-ძე ყურაშვილი — დივიზიის მეთაური; გენერალ-მაიორი პანტელეიმონ შიოს-ძე შიოშვილი — არმიის შტაბის მზვერავთა განყოფილების უფროსი; ავიაციის გენერალ-მაიორი დიმიტრი გრიგოლის-ძე შანშაშვილი—არმიის პოლიტიკური განყოფილების უფროსი; გენერალ-მაიორი ივანე დიმიტრის-ძე შაიშმელაშვილი—დივიზიის შტაბის უფროსი; გენერალ-მაიორი პეტრე იოსების-ძე ჩხობაძე — დივიზიის მეთაური; გენერალ-მაიორი ვალერიან სერგის-ძე ძაბახიძე — დივიზიის მეთაური, ავიაციის გენერალ-მაიორი შალვა ლავრენტის-ძე ჭანკოტაძე — საავიაციო-სატრანსპორტო დივიზიის მეთაური; გენერალ-მაიორი ხასან ლაგუსტანის-ძე ხარაზია — ცხენოსანი პოლკის მეთაური; გენერალ-მაიორი ზელიმხან არსენის-ძე ხარებოვი — ფრონტის შტაბის ოპერატიული განყოფილების უფროსი; გენერალ-მაიორი ალექსი ივანეს-ძე ხარებოვი — ავიაშენაერთის მეთაური; გენერალ-მაიორი ვლადიმერ დავითის-ძე ხუბულური—დივიზიის მეთაური; გვარდიის გენერალ-მაიორი კირილე კოჭოს-ძე ჯახუა — დივიზიის მეთაური; არტილერიის გენერალ-მაიორი გიორგი მიხეილის-ძე ჯინჭარაძე — საარტილერიო დივიზიის მეთაური; არტილერიის გენერალ-მაიორი ირაკლი ივანეს-ძე ჯორჯაძე — პოლკის მეთაური, შემდეგ სამხედრო აკადემიის პროფესორი; ვიცე-ადმირალი გიორგი სიმონის-ძე აბაშვილი — საესკადრო ნაღმოსანთა დივიზიონის მეთაური; კონტრ-ადმირალი სეით ამბაკოს-ძე კაპანაძე—ჩრდილოეთ ატლანტის ოკეანის საფლოტილიო რაიონის დაცვის სარდალი; კონტრ-ადმირალი ვლადიმერ ნესტორის-ძე ლეჟავა — ბრიგადის მეთაური; კონტრ-ადმირალი სიმონ სპირიდონის-ძე რამიშვილი — სამხედრო-საზღვაო სასწავლებლის უფროსი; კონტრ-ადმირალი კონსტანტინე დავითის-ძე სუხიშვილი — ბრიგადის მეთაური; კონტრ-ადმირალი მიხეილ ზაქარიას-ძე ჯინჭარაძე — სახაზო გემის მეთაურის მოადგილე; საბჭოთა კავშირის გმირი, პოლკოვნიკი გიორგი ივანეს-ძე ბილანიშვილი — პოლკის მეთაური; საბჭოთა კავშირის გმირი, პოლკოვნიკი არკადი სპირიდონის-ძე გეგეშიძე — ბატალიონის მეთაური; საბჭოთა კავშირის გმირი, ავიაციის პოლკოვნიკი ბორის ზაქარიას-ძე ზუმბულიძე — ავიაპოლკის მეთაური; საბჭოთა კავშირის გმირი, პოლკოვნიკი პლატონ ლუკას-ძე წიქორიძე — ნაწილის მეთაური; საბჭოთა კავშირის გმირი, პოდპოლკოვნიკი გიორგი (შურა) მოსეს-ძე ინასარიძე — ნაწილის მეთაური.

სპეცხლის სპ
№ 6, მაისი, 1965 წ.

შეხვედრის სიხარული

(დასასრული)

დონი. ზინას დედამ სარდონი გაიცნო. ბრაუნშვეიგში გერმანელთა საკონცენტრაციო ბანაკში. 1945 წელს, შვილის დაბადებამდე ცოტა ხნის წინ, მარიამ ვისოტინა სამშობლოში დაბრუნდა, ხოლო 1961 წელს გარდაიცვალა. ასე იპოვნეს ერთმანეთი მრავალი წლის შემდეგ მამამ და ქალიშვილმა.

სტეპანიდა კონონენკო ვინიცის ოლქიდან ჰიტლერელებმა ძალით წაიყვანეს გერმანიაში. იქ 1943 წლის სექტემბერში გერმანულ საკონცენტრაციო ბანაკში მას შეეძინა ვაჟი, რომელსაც ედუარდი დაარქვეს. ბავშვს სამი თვე რომ შეუსრულდა, დედა სხვა ბანაკში გადაიყვანეს, შვილი კი საავადმყოფოში მოათავსეს. ორჯერ გაიქცა კონონენკო ფაშისტური ბანაკებიდან, ხოლო 1945 წელს სამშობლოში წამოვიდა, თავისი ბავშვის ბედზე კი არაფერი არ იცოდა. მან ბიუროს მიმართა და სთხოვა დახმარებოდნენ შვილის პოვნაში. და ახლა მას აცნობეს, რომ მისი ვაჟიშვილი, რომელსაც იგი ეძებს, ცხოვრობს ამერიკის შეერთებული შტატების ქალაქ ლოს-ანჯელოსში.

ბიუროს თანამშრომლები ეხმარებიან ადამიანებს იმ ნათესავების მონახვაში, რომლებთანაც კავშირი პირველ იმპერიალისტურ ომშიც კი დაიკარგა. ამას წინათ პოლონეთში მოძებნეს ლენინგრადში მცხოვრები პენსიონერის, ძველი კომუნისტის ედუარდ მაციევსკის ძმა და ორი და.

ბევრი წერილი მოსდის ბიუროს სოციალისტური ქვეყნების მშრომელთაგან. სთხოვენ მოძებნონ საბჭოთა ადამიანები, რომლებსაც სამამულო ომის წლებში შეხვედრიან. ეს წერილები მოწმობენ, რომ წლებმა ვერ წაშალა თბილი მოგონებანი საბჭოთა მეომრების საგმირო საქმეებზე, რომლებმაც ხალხები იხსნეს მიხაისფერი ჭირისაგან.

პოლონელ მოქალაქეს ანტონ ბაიტრუკოვიჩს საბჭოთა მფრინავის ჩუკანოვის ბედი აღელვებდა. ომის პირველ დღეებში ისინი ერთმანეთს შეხვედრიან ტყეში მოლოდეჩნოს ახლოს. ბომბდამშენი, რომელსაც ჩუკანოვი პილოტობდა, ჩამოაგდეს, და მფრინავი პარაშუტით დაეშვა. პოლონელმა გლეხმა საბჭოთა მფრინავს საჭმელი გაუზიარა, თავისი ტანისამოსი მისცა და უჩვენა, როგორ მიეღწია თავისიანებამდე.

ივანე ჩუკანოვი უზბეკეთის სსრ ქალაქ ნამანგანში იპოვნეს. მან გაიხსენა პოლონელი გლეხი, რომელიც მას დაეხმარა. ჩუკანოვი ახლა სამოქალაქო საჰაერო ფლოტში მუშაობს. საბჭოთა მფრინავს და პოლონელ გლეხს მიწერ-მოწერა აქვთ.

აი მინსკის ოლქის კლეცკის სკოლის მოსწავლეთა თხოვნა, რომელიც ბიუროს მოუვიდა. ისინი იწერებიან, რომ 1944 წლის ივნისში მათს ქალაქში უნგრელთა ნაწილები იდგნენ. მაგრამ უნგრელებმა უარი განაცხადეს ებრძოლნათ საბჭოთა ჯარების წინააღმდეგ. მოხდა შეტაკება გერმანელთა ჟანდარმერიასთან. სამი უნგრელი ჯარისკაცი მოკლეს. ისინი ადგილობრივმა მცხოვრებლებმა დამარხეს. დარჩა ერთი ჯარისკაცის — იუზეფ გურბაშის სამხედრო ბილეთი. ეს დოკუმენტი სკოლასთან შექმნილ სამხარეთმცოდნეო მუზეუმში ინახებოდა. მოსწავლენი თხოულობდნენ, რომ იგი უნგრელი ჯარისკაცის მახლობლებს გადასცემოდა. ბელორუსი ბავშვების თხოვნა შესრულებულ იქნა. როგორც უნგრელმა მეგობრებმა გვაცნობეს, დოკუმენტი დაღუპული ჯარისკაცის დას გადაეცა.

ძებნის ბიუროს მუშაობაზე რომ ვლაპარაკობთ, არ შეიძლება არ მოვიხსენიოთ მისი თანამშრომლები, დაუღალავი ენთუზიასტები, გულისხმიერი და ყურადღებიანი ადამიანები. ბევრი მათგანი დიდი სამამულო ომის მონაწილეა.

1945 წელს, მაზარა რომ გაიხადა, სახენიტო ნაწილიდან მოვიდა აქ ვალერია საფონოვა და მას შემდეგ მუშაობს რეფერენტად. ბიუროს თითქმის დაარსებიდანვე შრომობენ აქ ყოფილი ფრონტელები, თადარიგის ოფიცრები პეტრე ფოკინი და ანატოლი სივცოვი. რეფერენტი როზა კარასევა უკრაინაში პარტიზანული მოძრაობის მონაწილეა. როგორც რადისტი, ის არაერთხელ ჩაუშვიათ მტრის ზურგში. რამდენიმე წელს იტანჯებოდა სიკვდილის გერმანულ ბანაკებში, მათ შორის ცნობილ ზაქსენჰაუზენში, ყოფილი პოლიტმუშაკი, ამჟამად უფროსი რეფერენტი გიორგი ვასილიევი.

უკვე დიდი ხანია მიწყდა გუგუნი ბრძოლის ველებზე. მაგრამ ფოსტას ყოველდღე მოაქვს მრავალი წერილი იმათგან, ვინც იმედს არ კარგავს, რომ იპოვნის თავის ნათესავებს თუ მეგობრებს.

პოლონელი ლიუდმილა ხალკა გვთხოვს მოვძებნოთ მისი მშობლები. იგი იწერება, რომ 1943 წლის ზაფხულში, როცა იგი გერმანიაში მიჰყავდათ, რუსი ბავშვების ეშელონი ბარანოვიჩთან გაჩერდა. ლიუდმილა, ისევე როგორც ბევრი სხვა ბავშვი, ადგილობრივმა მცხოვრებმა ბუშინსკებმა აიყვანეს. ეშელონიდან ერთმა ქალმა ბუშინსკებს უთხრა, მატარებელი ვლიკიე ლუკიდან წამოვიდა და გოგონას ლიუდმილა ეისმონტს ეძახიანო.

თავისი ოჯახის — ცოლისა და ორი შვილის — პოვნის იმედი აქვს მოთელ ლიტვაკს, რომელიც კიშინიოვში ცხოვრობს. ოჯახი დიდი სამამულო ომის დასაწყისში მოლდავეთიდან ევაკუირებულ იქნა ასტრახანის ოლქში, შემდეგ კი მისი კვალი დაიკარგა.

თავის მშობლებს ეძებს 26 წლის ოლეგ ულანოვიც, ლენინგრადში დაბადებული. იგი ავად იყო და სამკურნალოდ იმყოფებოდა ძველს ტუბერკულოზის ერთ-ერთ სანატორიუმში, საიდანაც 1942 წელს ევაკუირებულ იქნა ალტაის მხარეში.

იქნებ ვინმემ იცის, სად არიან ეს ადამიანები? დაეხმარეთ მათ, რომ შეხვდნენ მახლობლებს. მოიწერეთ შემდეგი მისამართით: Москва, Кузнецкий мост, 18/7. Бюро розыска советских и иностранных граждан, потерявших связь с родственниками.

ი. ტვერსკოი.

გამარჯვებულნი დაგრუნდნენ

სამ თვეზე მეტხანს იმყოფებოდა საზღვარგარეთ საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული ანსამბლი. ამ სახელმოხვეჭილმა კოლექტივმა თავისი ბრწყინვალე ხელოვნება უჩვენა ფრანგ, ბელგიელ და ჰოლანდიელ მაყურებელს. ლიონი, ნიცა, ტულონი, მარსელი, პარიზი, ბრიუსელი, ჰააგა, ამსტერდამი და მრავალი სხვა ქალაქი აღტაცებით შეხვდა ქართული ქორეოგრაფიის წარმომადგენლებს.

„იუმანიტეს“ ფურცლებზე გაზეთის სპეციალური კორესპონდენტი ჟორჟ ლიონი წერს: „...საბილეთო სალაროს წინ ხალხი წარმოდგენის დაწყებამდე რამდენიმე საათით ადრე ირეოდა. მაყურებელი არც მოტყუებულა — იმ საღამოს „ოპერის“ შენობაში გამართა რიტმის, გრაციის, სილამაზისა და ლირიზმის ზეიმი. „ალაგამბარაში“ ჩვენ რვა წლის წინაც მოვუწყეთ ოვაცია ამ დასს. ვაფაცობა და პოეზია — ყოველივე ეს არის მათ ცეკვაში...“

ამჟამად საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული ანსამბლი მიწვეულია იტალიაში, ავსტრიაში და სკანდინავიის ქვეყნებში.

ჩვენთვის, მეგობრებო!

(დასასრული)

შობლოს მკვიდრთა სმენას. განა ქების ღირსი არ არის ჩვენი თანამემამულე, დიდი ქართველი კომპოზიტორის მელიტონ ბალანჩივაძის შვილი, მსოფლიოში სახელგანთქმული ქორეოგრაფი გიორგი ბალანჩივაძე (ბალანჩინი). რომელიც ამას წინათ პირველად იყო თავის სამშობლოში, ყველა გაახარა თავისი უბადლო ხელოვნებით და ამერიკაში დაბრუნების შემდეგ იქაურ პრესაში შესანიშნავი სტატიების ციკლი დაბეჭდა საერთო სათაურით „ჩემი აღმოჩენა“. მან ძმასთან, თანამედროვე ქართული მუსიკის ცნობილ ოსტატ ანდრია ბალანჩივაძესთან შეთანხმების თანახმად გადაწყვიტა გაიტანოს მსოფლიო სცენაზე ქართული ქორეოგრაფიული სიმდიდრე.

უაღრესად ნაყოფიერია ჩვენი სახელოვანი მოცეკვავეების მოღვაწეობა. ნინო რამიშვილისა და ილიკო სუხიშვილის ცნობილი ანსამბლის გამოჩენას სიცოცხლის წუყაროსავით ელოდება უცხოეთში მცხოვრები ყოველი ქართველი.

სასაცილოდ და უსუსურად გამოიყურება ამის შემდეგ ის ლაყბობა, რომელიც ისმოდა გასულ წელს, გვიან შემოდგომაზე ე. წ. „ამერიკის ხმიდან“ ჩვენი საზოგადოების დაარსების გარშემო! არ სჯობდა ამერიკელ ქართველთა „საქველმოქმედო საზოგადოებას“, რომელსაც სათავეში გივი ზალდასტანიშვილი უდგას, სხვათა მაგალითით კონტაქტი დაემყარებინა სამშობლოში შექმნილ საზოგადოებასთან. არა სჯობს მოითხოვონ და მოიტონ ლიტერატურა და მუსიკა, იმოგზაურონ სამშობლოში, შეკრან ძმობა სამშობლოს ინტელიგენციასთან და საერთო ძალებით დავეხმაროთ გარექართველებს?! ადრე თუ გვიან ეს ასე იქნება.

ყოველი ქართველი, შინ თუ გარეთ, მშვიდობისა და მეგობრობის რწმენით ცოცხლობს. ამიტომ არის, რომ ჩვენი საზოგადოება დიდად პოპულარულია თვით საქართველოში. უკვე შეიქმნა საზოგადოების განყოფილება სოხუმში, იქმნება განყოფილებები ქუთაისსა და ბათუმში, ყოველთვიურად იზრდება საზოგადოების აქტივი. საზოგადოების გამგეობაში არიან და აქტიურად მოღვაწეობენ აკადემიკოსები ნიკო მუსხელიშვილი, შალვა ამირანაშვილი, გიორგი ახვლედიანი, აკაკი შანიძე, ევგენი ხარაძე, ირაკლი აბაშიძე, კონსტანტინე გამსახურდია, მწერალი ლევან გოთუა, მკვლევარი და ისტორიკოსი პავლე ინგოროყვა, კომპოზიტორები ალექსი მაჭავარიანი, ანდრია ბალანჩივაძე, მინისტრები არჩილ გაგოშვილი, ოთარ თაქთაქიშვილი, ბეჟან ჩხეიძე, თეიმურაზ დავითაშვილი, თბილისის ქალაქის თავი ალექსანდრე მელაძე და მრავალი სხვა პარტიული და საბჭოთა მოღვაწე...

საზოგადოება ათასობით ცალ გაზეთებს და სხვა თვალსაჩინო ლიტერატურას აწვდის თანამემამულეებს საზღვარგარეთ, ამზადებს და უგზავნის კინოფილმებს. სამაგიეროდ იღებს მრავალ კორესპონდენციას, განცხადებებს სამშობლოს ნახვის სურვილებით. საზოგადოება შეძლებისდაგვარად ყველას ეხმარება.

დიდი და საინტერესო გეგმები აქვს საზოგადოებას 1965 წლისათვის. მრავალი თანამემამულე ეწვევა სამშობლოს. ახალგაზრდა თანამემამულეებს საშუალება აქვთ ისწავლონ სამშობლოს უმაღლეს სასწავლებლებში, დაესვენონ და დრო გაატარონ ზაფხულობით სანაპიროზე, ნათესავ-მეგობრებთან.

და ამ მოღვაწეობით კმაყოფილ მრავალ თანამემამულეს უთქვამს თავისი გულწრფელი მადლობა. ამაზე საკმაოდ დაწერა საზოგადოების გაზეთმა „სამშობლოს ხმამ“ და მსოფლიოს აცნობა საზოგადოების რადიომ უწყებლობამ.

როგორ ვიზარდეთ...

ერთი ფოტოსურათის კვალდაკვალ

◆

ამ გვერდზე ჩვენს წინ დევს დროთა განმავლობაში ოდნავ შეუვითლებული სურათი. ორი გამხდარი ხარი გაჭირვებით ეზიდება გუთანს. გუთანს მისდევენ ფეხშიშველა მთესველები.

ეს ფოტოსურათი აცოცხლებს 30-იანი წლების დასაწყისის მეტრული სოფლის ცხოვრებას. მეორე მხარეზე წარწერაა: „სოფელი ნაწულუკი (სამეგრელო). სიმინდის ხვნა-თესვა კოლმეურნეობა „გლეხთა კავშირში“, 1931 წელი“.

ვთვალიერებთ ცნობარს — სოფელ ნაწულუკი ზუგდიდის რაიონშია. ახლა ამ სოფლის მკვიდრნი გაერთიანებული არიან მთელ ჩვენს რესპუბლიკაში ცნობილ რუხის კოლმეურნეობა „საქართველოში“.

ვეტერანთა სოფელ ნაწულუკს. კოლმეურნეობის თავმჯდომარის კაბინეტში საუბრობენ ახლახან მიღებულ სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანებზე, მინერალურ სასუქებზე.

ერთბაშად ოთახში სიჩუმე ჩამოვარდა. ცნობისმოყვარეობით ათვალიერებენ ჩვენს მიერ მოტანილ ფოტოსურათს. ახალგაზრდებში იგი კანონიერი გაოცების გრძნობას იწვევს, ხოლო მოხუცები დიდხანს და დაბეჯითებით დაჰკვირიან. ეს ბუნებრივიც არის, ფოტოსურათი მათ აგონებს წარსულის ერთ-ერთ ტიპიურ სურათს. ერთმა მათგანმა წამოიძახა:

— ესენი ხომ ძმები ფიფიები არიან, ჩვენი ესტატე და დომენტი.

— სწორია, ისინი არიან. დანარჩენი ორი ვინღაა?

თანასოფლელებმა ისინიც გამოიცნეს. ბიძაშვილები —პლატონ და ალიოშა ბულიები.

ვეტერანთა დომენტი ფიფიას ოჯახს. დაბალი ღობის იქით თვალს ახარებს ხასხასა ბალახი, ნაოფით დამძიმებული ხეხილის ტოტები.

ოჯახში თვითონ დომენტი ფიფიამ მიგვიპატიჟა. მასპინძელს თბილი და გულღია ღიმილი აქვს. იგი 80 წლი-

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ

საა, მაგრამ სამოცისაც არ გეგონება.

ღიმილით დასცქერის იგი ფოტოსურათს და მოგონებებში იძირება.

მართლაც რომ განსაცვიფრებელი ცვლილებებია სამეგრელოს პატარა სოფელში ამ 30 წლის მანძილზე.

— ოთხი შვილი მყავს, — სიამაყით გვეუბნება დომენტი, — ოთხი ვაუკაცი, მათ შემოვევლე. ვალერიანი მასწავლებელია, მელენტი ზუგდიდის მერძევეობა-მეხორცეობის კომბინატის ეკონომისტია, ნაპო და მარგო ჩვენს კოლმეურნეობაში მუშაობენ. ოცი შვილიშვილი მყავს, თვრამეტი საშუალო სკოლაში სწავლობს, ორი კი —ინსტიტუტში.

ნაწულუკელებს სიმინდს გარდა მოჰყავთ ჩაი. 1964 წელს ჩაის უხვი მოსავალი მიიღეს. ახლა ნაწულუკელების ჩაის პლანტაციები 300 ჰექტარზეა გადაჭიმული. იგი კოლმეურნეობის შემოსავლის 91 პროცენტს იძლევა. კოლმეურნეობის ჩამოყალიბების პირველ წლებში ადგილობრივი მცხოვრებლები ჰექტარზე მხოლოდ 200-300 კილოგრამ ჩაის კრეფდნენ, ახლა კი მოსავლიანობა თითქმის 20-ჯერ გაიზარდა. ასეთი მოსავლის აღება ძნელია ადამიანებისათვის. და აი ჩაის მკრეფავების დასახმარებლად მოვიდნენ მანქანები. ჩაის საკრეფმა მანქანამ „საქართველომ“ მნიშვნელოვნად შეამსუბუქა კოლმეურნეთა შრომა.

კოლმეურნეობაში ერთ-ერთ წამყვან კულტურას სიმინდი წარმოადგენს. 300 ჰექტარი უჭირავს სიმინდის ყანებს. ახლა კოლმეურნეობაში საშუალოდ ჰექტარზე 45 ცენტნერ სიმინდის მარცვალს იღებენ.

ახლა ტუნგოს პლანტაციებს, ვენახებს, ხეხილის ბაღებს, ბოსტნებს აღარ იკითხავთ? ისინი მეურნეობას დიდ შემოსავალს აძლევენ.

შეძლებულად ცხოვრობენ ნაწულუკელი კოლმეურნეები. ახლა ნაწულუკი პატარა მივარდნილი სოფელი კი არა, კეთილმოწყობილი კობწია დაბაა.

— თვალს ახარებს კოლმეურნეთა ორსართულიანი ქვის სახლები. სოფელი ახალმშენებლობებშია ჩაძირული. უკანასკნელი ათი წლის მანძილზე სოფელში აშენდა 312 ორსართულიანი შენობა, — გვეუბნება კოლმეურნეობის თავმჯდომარე ალექსანდრე კუტალია.

კოლმეურნეებმა შეიძინეს მსუბუქი მოტოციკლები, ხოლო საღამოობით თითქმის ყველა ოჯახში ინთება ტელევიზორის ცისფერი ეკრანი.

35 წლის წინათ აქ სანთლით იყო საძებარი წერა-კითხვის მცოდნე. ახლა კი სოფელს ჰყავს თავისი ინტელიგენცია — აგრონომები, ექიმები, ინჟინრები, მასწავლებლები. სოფელში სამი სკოლაა. აქაური ახალგაზრდები სწავლობენ და მუშაობენ ჩვენი რესპუბლიკის სხვადასხვა ქალაქებსა და სოფლებში.

... მაგიდაზე დევს დროთა სრბოლაში გაყვითლებული ფოტოსურათი. კაცი და სახნისია მასზე გამოსახული, იქვეა მეორე ფოტოსურათი — კოლმეურნეობის ჩაის პლანტაციაში ხომალდივით მიცურავს ჩაის საკრეფი მანქანა „საქართველო“.

ასეთია სოფელ ნაწულუკის გუშინდელი და დღევანდელი დღე.

კიდევ უკეთესი იქნება მისი მომავალი.

დომენტი მეუნარგია.







ქალაქი ფოთი — ნავსადგური.

ხალასი ლითონი

თანამედროვე ტექნიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემა ის არის, რომ მიიღოს ხალასი და სტრუქტურით სრულყოფილი ლითონები (მონოკრისტალები) და ნახევარდგამტარი ლითონები. მონოკრისტალებს ფართოდ იყენებენ მრეწველობის ყველა დარგში — ხელსაწყოთმშენებლობაში, ელექტრონიკასა და რადიოტექნიკაში.

სხვადასხვა მეთოდი იქნება გამოყენებული ხალასი ლითონების მისაღებად, მაგრამ მათი განთავისუფლება მინარევებისაგან ვერ ხერხდებოდა.

საქართველოს მეტალურგიის ინსტიტუტის მეცნიერმა თანამშრომელმა გ. ცაგარეიშვილმა შექმნა დანადგარი, რომელიც აერთიანებს სხვადასხვა ტექნოლოგიურ პროცესს ერთ კომპაქტურ აგრეგატში. იგი უტიგელოდ მუშაობს და ლითონს ადნობს ელექტრონების კონის საშუალებით. ასეთი ელექტრონული დაბომბვა უფრო მეტი სითბოს მიღების საშუალებას იძლევა, ვიდრე გახურების სხვა მეთოდების გამოყენების დროს არის. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ლითონების მიღებისას, რადგან მათი დნობა და წმენდა სხვა წესით შეუძლებელია დნობის მაღალი ტემპერატურის გამო. დნობასთან ერთად ლითონში უშვებენ მუდმივ დენს, რომელიც „წმენდს“ მას იონური ნარევებისაგან (მარტივი ღა მუხტული ნაწილაკებისაგან). ნაწილაკები მოძრაობენ ელექტროდებში დაყრილი იყრიან ლითონის ღეროს ბოლო ნაწილში, რომელიც შემდეგ იჭრება.

— ელექტრონის კონის საშუალებით ლითონების საწმენდი უტიგელო დნობის დანადგარმა, — განუცხადა გაზეთ **„სამშობლოს ხმის“** კორესპონდენტს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მეტალურგიის ინსტიტუტის დირექტორმა ფ. თავაძემ, — იმის შესაძლებლობა მოგვცა, რომ გამოგვერკვია მეცნიერებაში წინათ უცნობი ბორის მნიშვნელოვანი ფიზიკური თვისებანი. ბორი ერთ-ერთი ყველაზე პერსპექტიული მასალაა ნახევრად გამტარების ტექნიკაში. მას იღებენ ისე, რომ არ არის ლითონისა და გაზის ნარევი. აღმოჩნდა, რომ „ნახევრად ლითონებისაგან“ განსხვავებით, რომელთაც ბევრნი მას ნახევრად ლითონებს მიაკუთვნებენ, ბორი მაღალი ტემპერატურის დროს ლითონივით მოქმედებს: იძენს ელექტროგამტარობის უნარს, ფართოვდება დნობის დროს.

გ. ცაგარეიშვილის დანადგარი ძალიან წვეულობაში მისი გამოყენების ფართო შესაძლებლობას იძლევა.

მთის გზებისათვის

უკვე რამდენიმე წელია ქართველი მეცნიერები სწავლობენ სამთო ავტომობილებისა და ტრაქტორების მუშაობის თავისებურებებს. მეცნიერებმა გარკვეული მუშაობა განახორციელეს ძრავების თბოგაანგარიშების მეთოდიკის დასაზუსტებლად, ახლა ეძებენ მათი სიმძლავრეთა გადიდების საშუალებებს მთიან პირობებში მუშაობის დროს.

გამოკვლევა, რომელსაც საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს თბილისის მანქანათმცოდნეობის ინსტიტუტი ეწევა, მოიცავს ავტომობილისა და ტრაქტორთმშენებლობის თეორიისა და პრაქტიკის ბევრ დარგს. ინსტიტუტი მოწინავეა საბჭოთა კავშირის მთისა და მაღალი მთის რაიონებისათვის ძრავების, ავტომობილებისა და ტრაქტორების თეორიისა და შექმნის დარგში. აქ მუშავდება და უმჯობესდება ძრავების გაცივების ახალი სისტემები, წარმოებს მუშაობა მანქანების სამუხრუჭო სისტემათა საიმედოობის გადიდებისათვის მთის ადგილმდებარეობის პირობებში. მთის ტრასებზე მომუშავე ავტომობილების დინამიკის გადიდების დარგში მეცნიერული ძიება შესაძლებელს გახდის გადიდდეს მათი მოძრაობის სიჩქარე, ხოლო სატვირთო რეჟიმების კვლევა, რომელთა გამოცდა წარმოებს მანქანის ცალკეულ დეტალებსა და კვანძებზე, მეცნიერება დაეხმარება იპოვონ საშუალებანი მათი გამოსადეგობის ვადის მნიშვნელოვნად გადიდებისათვის.

ინსტიტუტში კვლევითი მუშაობა წარმოებს ჩვენი ქვეყნის საავტომობილო და სატრაქტორო ქარხნებთან მჭიდრო კავშირში. „ზილ-120“ ავტომობილის ძრავისათვის ინსტიტუტში შემუშავებულია თერმოსტატიური სამართავი ვენტილატორი, რომელიც მძღოლს დაეხმარება გარკვეული ტემპერატურა დაიცვას ძრავასა და ავტომობილის მოტორის ნაკვეთურში. სპეციალისტებმა წამოაყენეს აგრეთვე მუხრუჭების ორიგინალური სისტემა, რომლებიც გამონაბოლქვი აირების ენერგიით მუშაობენ. ერთ-ერთ ლაბორატორიაში შექმნილია ორიგინალური აპარატურა მთის ტრასებზე ავტომობილების მოძრაობის რეჟიმის შესასწავლად.

დაგეძებენ, მოგველიან

ძმებს: **რაჟდენ და ვალერიან ალექსის-ძე გაგნიძეებს,** დაბადებულებს ონის რაიონის სოფ. შძმერში, ეძებენ დედა — ეფროსინე დავითისასული გაგნიძე, ძმა სერაფიონ გაგნიძე.

პავლიაშვილს შაქრო ვლადიმერის-ძეს, დაბადებულს ღუმეთის რაიონის სოფ. ჭაისხევში, ეძებს დედა — თეგრო პავლიაშვილი.





სურათებზე: ვალერიან გაგნიძე (ზემოთ) და რაჟდენ გაგნიძე.

საექსკურსიო ბიურო

ბორჯომი. მუშაობას შეუდგა საექსკურსიო ბიურო, რომელიც წლის განმავლობაში 80 ათას ექსკურსანტს მოემსახურება. საექსკურსიო ბიუროს მარშრუტებში შედის საინტერესო ექსკურსიები როგორც თვით ბორჯომის რაიონში, ისე თბილისში, რუსთავში, ქუთაისში, უძველეს ციხე-ქალაქ ვარძიაში, სურამში და სხვ. გათვალისწინებულია აგრეთვე სამდღიანი ექსკურსიები საქართველოს სამხედრო გზით ორჯონიკიძეში, სოხუმში.

◆

გვიჩვენებენ უნგრელები

საქართველოს სახალხო მეურნეობათა მიღწევათა გამოფენაზე გახსნილია უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის სავაჭრო ტექნოლოგიური მოწყობილობის ექსპოზიცია. 70-მდე ექსპონატი წარმოადგენა უნგრეთის საგარეო ვაჭრობის ფირმამ „ტრანსელექტრომ“. ეს არის სახელგანთქმული მანქანა „ბუდაპეშტი“, რომელიც კონსტრუქციითა და ხარისხით სჯობნის საუკეთესო მსოფლიო ნიმუშებს.

● წუთშესვენება ჩემპიონატში
● თბილისს ევროპის ყველაზე მაღალი კაცები ეწვევიან
● ქართველ ფალავანთა ტრიუმფი
● ახალგაზრდა მოჭადრაკეები უტოვენ
● წინ საინტერესო ასპარეზობანი გველის

სპორტული მიმოხილვა

ეს თვეები მეტად გადატვირთულია სპორტული ასპარეზობებით. გაიმართება საქალაქო, რესპუბლიკური, საკავშირო, ევროპისა თუ მსოფლიოს ჩემპიონატები და, მიუხედავად მათი სიმრავლისა, მთავარი ყურადღება მაინც ფეხბურთზეა მიპყრობილი.

მსოფლიო ახლა შესარჩევ ჯგუფებად არის დაყოფილი. საბჭოთა ნაკრებმა უკვე აიღო სტარტი და მოსკოვში ანგარიშით 3:1 დაამარცხა ბერძენი ფეხბურთელები. ნაკრების შემადგენლობაში სამი თბილისელი იყო: ბ. სიჭინავა, ს. მეტრეველი და მ. მესხი. ვ. ბარძაია ტრავმის გამო ვერ გამოვიდა მოედანზე. პირველი შესარჩევი მატჩი მოგებულია.

და აი, მაისის უკანასკნელ კვირას მეორე შესარჩევი მატჩი გამართა საბჭოთა ნაკრებმა. ჩვენი მოწინააღმდეგე უელსის გუნდი იყო.

სტუმრებს მხოლოდ მოგება აძლევდათ ხელს, წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი კარგავდნენ ლონდონში მოხვედრის შანსს. სსრ კავშირის გუნდში ამჯერად მ. მესხი და ს. მეტრეველი თამაშობდნენ. ამ დღეს, 30 მაისს სლავა მეტრეველს 29 წელი შეუსრულდა. მან ბრწყინვალე თამაშით აღნიშნა ეს თარიღი.

თამაში საინტერესო, დაძაბული იყო და საბჭოთა ფეხბურთელების უპირატესობით წარიმართა. განსაკუთრებით სახიფათო მ. მესხის გარღვევები იყო. პირველი გოლი ივანოვმა გაიტანა. მეორეს თანაავტორი კი მარცხენა გარემარბი მესხი იყო. მეორე ნახევრის მესამე წუთზე მან ოსტატურად აუარა გვერდი რამდენიმე მცველს და კარის გასწვრივ ჩააწოდა ბურთი. სტუმრების დამცველმა საკუთარ კარში გაგზავნა ბურთი. უელსელებმა მხოლოდ ერთი გოლი გაქვითეს. შეხვედრა დაამთავრდა ანგარიშით 2:1 საბჭოთა ფეხბურთელების სასარგებლოდ. ჩვენი ფეხბურთელები უკვე ლიდერობენ თავიანთ ქვეჯგუფში. მათ ორი თამაშიდან 4 ქულა აქვთ. მესამე მატჩს საბჭოთა გუნდი თავის მოედანზე გამართავს დანიასთან.

ჩვენი ქვეყნის ჩემპიონი თბილისის „დინამო“ სათავეში ჩაუდგა გათამაშების ცხრილს. ქართველ ფეხბურთელებს ხუთი შეხვედრიდან 8 ქულა აქვთ. მომდევნო ხუთ მატჩს დინამოელები თბილისში ჩაატარებენ და ვფიქრობთ უფრო განიმტკიცებენ სატურნირო მდგომარეობას. თასის გათამაშება გადამწყვეტ ფაზაში შევიდა, ქუთაისის „ტორპედო“ გამოეთიშა ასპარეზობას, დინამოელები კი მერვედფინალში გავიდნენ, მათ სოხუმის „დინამოს“ მოუგეს — 1:0. წარუმატებლად თამაშობენ საკავშირო ჩემპიონატში ქუთაისელი ფეხბურთელები.

ივნისის დასაწყისში საქართველოს დედაქალაქს ევროპის კალათბურთის 8 უძლიერესი კოლექტივი ეწვევა. სპორტის სასახლეში გაიმართება ევროპის ჩემპიონატის „ბ“ ჯგუფის გუნდების ასპარეზობა, რომლებიც ფინალში გასვლისათვის იბრძოლებენ. „ა“ ჯგუფის გუნდები მოსკოვში შეხვდებიან ერთმანეთს. სსრ კავშირის ნაკრებიც, რომლის შემადგენლობაში ორი თბილისელია, — ზ. სპანდელიძე და ა. სხირტლაძე, მოსკოვში ითამაშებს.

თბილისის „დინამოს“ გუნდის კაპიტანს გურამ მინაშვილს, საბჭოთა კავშირის ერთ-ერთ წამყვან კალათბურთელს, სსრ კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატის წოდება მიენიჭა.

მაისის დასაწყისში ჩვენში სტუმრად ამერიკელი კალათბურთელი ქალები იყვნენ. შეერთებული შტატების ეროვნული ნაკრები სპორტის სასახლეში საქართველოს ნაკრებს შეხვდა. ქართველმა კალათბურთელმა ქალებმა ბრწყინვალედ ჩაატარეს ეს მატჩი და დამსახურებული გამარჯვება მოიპოვეს — 60:54.

შესანიშნავი გამარჯვება მოიპოვა საბჭოთა ძიუ-დოისტთა ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატზე, რომელიც მადრიდში გაიმართა. საერთო გამარჯვებაში თავისი წვლილი შეიტანეს ევროპის სამგზის აბსოლუტურმა ჩემპიონმა ა. პიჭნაძემ, ფ. ჩიკვინაძემ, და ა. ქიბაროშაშვილმა. სამივე ქართველმა მოჭიდავემ ორ-ორი ოქროს მედალი მოიპოვა, როგორც გუნდური პირველი ადგილისათვის, ასევე პირადი ჩემპიონობისთვისაც. განსაკუთრებით აღსანიშნავია ქართველი ფალავანის ანზორ კიკნაძის წარმატება. იგი მესამედ გახდა კონტინენტის აბსოლუტური ჩემპიონი.

გაზეთ „სამშობლოს ხმის“ კორესპონდენტთან საუბარში ა. კიკნაძემ თქვა:

— რასაკვირველია, ძალიან გამიხარდა გამარჯვება, ჩემი თანამემამულეების ფ. ჩიკვილაძისა და ა. ქიბაროშაშვილის წარმატება. მაგრამ ამით არ უნდა დავკმაყოფილდეთ. სულ მალე მსოფლიოს ჩემპიონატი დაიწყება და მთავარ მეტოქესთან იაპონიასთან მოგვიწევს შეხვედრა. იმედი მაქვს, რომ ამჯერად მტკვრისა და ალაზნის პირას დაბადებული ფალავნები არაფერში დაუთმობენ ამომავალი მზის ქვეყნის სპორტსმენებს, რომელთა მშობლიური ჰიდოობაა ძიუ-დო.



სურათებზე: სახელგანთქმული ქართველი ფალავანი, ევროპის სამგზის აბსოლუტური ჩემპიონი ანზორ კიკნაძე.

ახლახან დამთავრდა საქართველოს ღია ჩემპიონატი ჭადრაკში ვაჟთა შორის, რომელშიც ორი მოწვეული საერთაშორისო დიდოსტატი რ. ხოლმოვი და ე. ვასიუკოვი იღებდა მონაწილეობას. ტურნირში გამოდიოდა მსოფლიოს ჩემპიონი ქალთა შორის ნონა გაფრინდაშვილი, რომელიც პრეტენდენტთან ა. კუშნირთან მატჩისთვის ემზადება. მართალია ეს შეჯიბრება მისთვის ვარჯიშის ხასიათს ატარებდა, მაგრამ ნონამ 8 ქულა დააგროვა და 17 მონაწილეს შორის 9-11 ადგილები გაიყო ჩვენ ქოველთან და მაჭავარიანთან ერთად.

პირველი ადგილების პრეტენდენტებად ყველანი დიდოსტატებს ასახელებდნენ, მაგრამ ახალგაზრდა ქართველმა მოჭადრაკეებმა მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს მათ. ტურნირში ნიჭიერი ახალგაზრდობა გამოჩნდა. ეს უწინარეს ყოვლისა 20 წლის ი. ჯინჯიხაშვილია, რომელმაც არ მარცხი შეასრულა ოსტატის ნორმატივი, არამედ საქართველოს მრავალგზის ჩემპიონთან ბ. ბურჭენიძესთან ერთად 1-2 ადგილები გაიყო. ჩემპიონის გამოსავლენად მათ შორის მატჩი გაიმართა. ოსტატის ნორმა შეასრულა აგრეთვე ა. ელიოზაშვილმა. ეს სამი მოჭადრაკე მონაწილეობას მიიღებს თბილისის I საერთაშორისო საჭადრაკო ვაჟთა ტურნირში. ტურნირში მოწვეულია აგრეთვე ნ. გაფრინდაშვილი.

წყალგურთელთა საკავშირო ჩემპიონატი დასასრულს უახლოვდება. გუნდებს უნასკნელი 6 შეხვედრის წინ მცირე შეცვლა მიეცათ. ტურნირს დიდი ხნის მანძილზე თბილისის დინამოელები ლიდერობდნენ, მაგრამ რამდენიმე წაგებამ ისინი მეოთხე ადგილზე გადაისროლა. დასკვნითი შეხვედრები მოსკოვში გაიმართება.

კიევში ახალგაზრდა ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირზე შესანიშნავი გამარჯვება მოიპოვა ქართველმა სპორტსმენმა 16 წლის თ. კაკულიამ. ვაჟთა შორის იგი პირველი იყო.

საფრანგეთის ღია ჩემპიონატში მონაწილეობა მიიღეს ა. მეტრეველმა, თ. ლუსმა და ა. დმიტრიევამ. ეს მსოფლიო არაოფიციალური ჩემპიონატია გრუნტის კორტებზე. ა. მეტრეველს ძლიერი მეტოქე შეხვდა და წააგო. ასპარეზობას გამოეთიშნენ აგრეთვე თ. ლეიუსი და ა. დმიტრიევა; ივნისის დასაწყისში საბჭოთა ჩოგბურთის პრემიერთა ტრიო, აგრეთვე ახალგაზრდები თ. კაკულია, ო. მოროზოვა და ვ. კოროტკოვი უმიმღონოს გაემგზავრებიან სადაც ინგლისის ბალახიან კორტებზე ტურნირებში მიიღებენ მონაწილეობას.

აი ის, რაც მხოლოდ ამ თვის მანძილზე მოხდა სპორტში. მომავალი თვეები კიდევ უფრო დაძაბული და საინტერესო იქნება. მით უმეტეს, რომ თბილისში ფეხბურთი მოვა და ჩვენი საყვარელი გუნდი თბილისის „დინამო“ კვლავ გამოვა თავის ჭალაში. ქართველ გულშემატკივრებს დიდი იმედი აქვთ, რომ ქართველი ფეხბურთელები გაიმეორებენ შარშანდელ მიღწევას. და ამისა, თასის მოპოვების იმედიც არის იმედი რეალობად იქცევა, თუ 9 ივნისს მერვედფინალური მატჩი მოსკოვში ადგილობრივ ცსკა-სთან წარმატებით დასრულდება.

როგორც ხედავთ, მრავალი საინტერესო ამბის მომსწრე გავხდებით. იმედები გვაქვს და მოდით თავი შევიკავოთ პროგნოზებისაგან.

ო. ლორთქიფანიძე.

მოისმინეთ რადიოგადაცემები ქართულ ენაზე ყოველი თვის მეორე და მეოთხე სამშაბათს 7 საათიდან 7 საათსა და 30 წუთამდე. შუა ევროპის დროით საშუალო ტალღაზე 227 მეტრი ან 1322 კილოგერცი. მოკლე ტალღაზე — 30,83 მეტრი ან 9730 კილოგერცი.

გადაცემები ქართულ და აფხაზურ ენებზე შუა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებისათვის ყოველ კვირა დღეს 17 საათსა და 45 წუთიდან 18 საათსა და 15 წუთამდე, თბილისის დროით მოკლე ტალღაზე— 50,59 მეტრი ან 5930 კილოგერცი.

სარედაქციო კოლეგია

ჩვენი მისამართი

თბილისი, გ. ათონელის ქ. № 25.